# პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა

**საარჩევნო** კამპანიაში დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ეტაპი დადგა — 27 დეკემბერს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ პირველი არჩევნებისთვის მზადება მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში მიმდინარეობს.

არჩევნები საბჭოეთში მკაფიოდ მოწმობს სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობებს, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვა ახალ კანონში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. ამომრჩევლები სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ყველაზე ავტორიტეტიან წარმომადგენლებს. შრომით კოლექტივებში გამართულ კრებებზე ისინი პირველებს ასახელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს.

წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებმაც დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევი**, აგრეთვე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა. ნ. კოსიგინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ი. ვ. ანდროპოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ვ. გრიშინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **მ. ა. სუსლოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ა. პ. კირილენკო**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **გ. ვ. რომანოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. ვ. შჩერბიცკი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. **დ. თ. უსტინოვი** და სხვ.

**თბილისის** ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებელ ქარხანაში გაიმართა გაერთიანების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მოსამსახურეთა კრება, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელებას მიეძღვნა. სიტყვა ეძლევა საამწყობო საამქროს მემონტაჟეს გ. მეტონიძეს. ელმავალმშენებელთა მთელი კოლექტივის სახელით მან წამოაყენა წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კან[illegible]ლისის ლენინის საარჩევნო ოლქში დაასა[illegible]რი კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ე. ა. შევარდნაძე**.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს დადგენილება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 161 თბილისის ლენინის საარჩევნო ოლქში დაასახელონ ე. ა. შევარდნაძე.

ამხ. ე. ა. შევარდნაძის კანდიდატურა დაასახელეს აგრეთვე, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მშრომელთა კრებაზე.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 255 (6310)

30 დეკემბერი 1978 წ. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# სპორტული წლის ლაურეატები

როგორც ყოველთვის, წელსაც სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ და საკავშირო სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველომ მოაწყვეს სპორტულ ჟურნალისტთა — ჟურნალ-გაზეთების, სატელეგრაფო სააგენტოების, ტელეხედვისა და რადიოს თანამშრომელთა გამოკითხვა 1978 წლის საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენების ვინაობის დასადგენად. შედეგების შეჯამებისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონმა, 27 წლის ლენინგრადელმა **ანატოლი კარპოვმა** (შეიარაღებული ძალები), რომელმაც ბრწყინვალედ დაიცვა უძლიერესის ტიტული.

მიმავალი, 1978 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში აგრეთვე შევიდნენ:

2. მძლეოსანი **ვლადიმერ იაშჩენკო** („ავანგარდი", ზაპოროჟიე).
3. ტანმოვარჯიშე **ნიკოლოზ ანდრიანოვი** („ბურევესტნიკი", ვლადიმირი).
4. მძლეოსანი **ვილგელმინა ბარდაუსკენე** („დინამო", ვილნიუსი).
5. მოცურავე **ვლადიმერ სალნიკოვი** („ზენიტი", ლენინგრადი).
6. ტანმოვარჯიშე **ელენე მუხინა** (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი);
7. მოჭადრაკე **მაია ჩიბურდანიძე** („დინამო", თბილისი).
8. ჰოკეისტი **ბორის მიხაილოვი** (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი).
9. ძალოსანი **იურიკ ვარდანიანი** („ლოკომოტივი", ლენინაკანი).
10. მოცურავე **იულია ბოგდანოვა** („ზენიტი", ლენინგრადი).

სულ ჟურნალისტებმა დაასახელეს 24 სახეობის 79 წარმომადგენელი.

# გათუმელი მოცურავის ბენეფისი

**ნ. მოროზოვი — ლეონიდ მეშკოვის პრიზის მფლობელი**




**მინსკში** დამთავრდა 1959-61 წლებში დაბადებულ მოცურავეთა საკავშირო პირველობა ლ. მეშკოვის პრიზზე. შეჯიბრებაში მონაწილეობენ იმ პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების გუნდები, რომლებიც ოლიმპიური თამაშების სამზადისისთვის დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენენ.

მოცურავეები მრავალჭიდში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სპრინტერთა ასპარეზობაში კარგად გამოვიდა ბათუმელი ნ. მოროზოვი („ვოდნიკი"). სეზონის მიწურულს მან რესპუბლიკური რეკორდით გაიმარჯვა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 54,55. იგი საუკეთესო იყო 200 მეტრზე ცურვაშიც, სადაც პირადი რეკორდი დაამყარა — 1.59,7.

აღსანიშნავია, რომ მოროზოვი თბილისელ ი. კუშპელიოვის შემდეგ მეორე სპორტსმენია საქართველოში, რომელმაც ორ წუთიანი ზღვარი გადალახა.

ბათუმელი მოცურავე ორჯერ გამოვიდა 50-მეტრიან დისტანციაზე და ორივეჯერ 25,0 აჩვენა, მაგრამ ერთხელ გაიმარჯვა, მეორედ კი II ადგილი დაიკავა. ბუნებრივია, ასეთი მიღწევების შემდეგ მრავალჭიდის ჯამში მოროზოვს კონკურენცია ველარავინ გაუწია.

• • •

**სურათზე: ნ. მოროზოვი.**

## კალათბურთი

**შედგა** კალათბურთელ ქალთა გუნდების პირველი ლიგის საკავშირო პირველობის მატჩები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისი) გუნდმა ოთხი მატჩი ჩაატარა მეტოქეთა მოედნებზე.

ლვოვში ადგილობრივ სახლმშენებელი კომბინატის გუნდთან პირველ შეხვედრაში გაიმარჯვა — 73:71, ხოლო განმეორებით მატჩში დამარცხდა — 61:78.

კიდევ უფრო სუსტად ითამაშეს მომავალმა ინჟინრებმა ესენტუკში, სადაც ადგილობრივ „სპარტაკთან" შეხვედრაში ორივე შეხვედრა წააგეს — 61:67 და 66:70.



# საკმარისია ერთადერთი სიტყვა

**ინტერვიუ, რომელშიც ცაეტი სვლა გათამაშდა**

**ის იყო**, მოჭადრაკეები გადადებული პარტიების დასამთავრებლად მაგიდებს მიუსხდნენ, რომ ერთ-ერთ სადემონსტრაციო დაფაზე წარწერა გაჩნდა — „შავებმა გაიმარჯვეს". თეთრებით ბელიავსკი თამაშობდა.

გამარჯვებული, ამ ქულამ ერთპიროვნული ლიდერი რომ გახადა, ერთხანს სცენაზე დადიოდა, ხან ერთ დაფას დახედავდა, ხან — მეორეს. მერე ერთიც გადახედა თითქმის დაცარიელებულ ბრძოლის ველს, სიგარეტი ჩააქრო და კულისებში გავიდა.

წლებმა თავისი ქნა — მიხვრა-მოხვრა დაუმძიმდა, მელოტიც გაუჩინა ამ კაცს. მაყურებელთა დარბაზიდან წლობით ნატყვევარი, კარგა მობერებული ლომივით უვნებელი ჩანს. თუმცაღა, საკმარისია ერთადერთი სიტყვა და ეს მაცდური შთაბეჭდილება უცბად გაქრება.

ტალი!

სხვა არაფერი. არც ტიტულებია საჭირო, არც გამარჯვებათა გრძელი სია.

არა ერთი და ორი ჩემპიონი ჰყავდა საჭადრაკო სამყაროს, ზოგი მათგანი ათეული წლობითაც ატარებდა გვირგვინს. ის ერთხელ ავიდა ოლიმპზე, მხოლოდ წელიწადი დაჰყო და „ყოფილის" უსიამო ტიტულით ამაყადვე დატოვა ტახტი. ამაღლებას ჰგავდა მისი ზესვლა, ამაყი და სევდიანი იყო ტახტთან დამშვიდობებაც.

ტახტსაც, გვირგვინსაც და ქვერთხსაც ერთბაშად ელევიან მეფეები. ორ მათგანს ისიც შეელია...

• • •

პრეს-ცენტრში რამდენიმე კაცია. მოწყენილობა დასტყობია ათიოდე მაგიდაზე გაწყობილ ჭადრაკის დაფებს. ყველაფერი თითქმის გარკვეულია — უკანასკნელ ტურში ლიდერს ყაიმიც ჰყოფნის. ქვეყნის ხუთგზის ჩემპიონს კიდევ ერთი ტიტული მიემატება. ტიტული, საოცნებოდ რომ აქვს ბევრ, ძალზე ბევრ ძლიერ მოჭადრაკეს. მიხეილ ტალისთვის ეს რიგითი გამარჯვებაა — იმიტომაც თუ ელოდება ასე მშვიდად ტელეფონის ზარს.

— „ინტერვიუ? დიდი სიამოვნებით. რიგას დაველაპარაკები და..."

ხუთი წუთის შემდეგ ჭადრაკის დაფას ვუსხედით.

— პირველ სვლასა და რაღა თქმა უნდა, ერთგვარ ინიციატივასაც თქვენ გითმობთ.

ელიმება. ამ ღიმილში კეთილგანწყობაც არის და ჟურნალისტის პროფესიის პატივისცემაც (მიზეზი, რა თქმა უნდა, თანამოსაუბრის ჟურნალისტობა არ არის მხოლოდ).

— გასაგებია. თქვენს უშუალო ვალდებულებებს დროებით ჟურნალისტ ტალს აკისრებთ. — რატომღაც კითხვას მოველოდი. ტალმა კი ჩვეულებისამებრ უშეცდომოდ გაიანგარიშა არც თუ რთული „კომბინაცია". — კეთილი. კითხვა საკმაოდ იშვიათი და ამდენად, ორიგინალური იქნება. „თავს როგორ გრძნობთ, მიშა?" მოჭადრაკე მადლობას უხდის ჟურნალისტს: „ძალიან კარგად". ახლა კი, თქვენი სვლაა...

— ჭადრაკს მილიონები თამაშობენ. რა სარგებლობა მოაქვს ამ გატაცებას არა მოჭადრაკეებისათვის და რა ზომამდეა მიზანშეწონილი ამ მშვენიერი თამაშით გატაცება.

— რა თქმა უნდა, ამ გატაცებას უსიამოთა რიგს ვერ მივაკუთვნებთ (სიტყვა უსიამოზე ოდნავ ელიმება). მართალია, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, რა არის ჭადრაკი, მეცნიერება, ხელოვნება თუ სპორტი, მაგრამ საფიქრებელია, რომ თითოეული ეძებს და პოულობს მასში იმას, რაც აინტერესებს მეცნიერებას, ხელოვნებას, სპორტს... ერთი რამის წინააღმდეგი ვარ: ჭადრაკის თამაშისას და თუნდაც შესწავლისას წკეპლის ხმარება არ შეიძლება.

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

**სურათზე: მ. ტალისა და გ. კასპაროვის შეხვედრა უკანასკნელი ტურიდან. რიგელმა დიდოსტატმა ჩემპიონობა გაინაღდა..**

თ. ქიქავას ფოტო.

# მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი

## ოლიმპიადის გახსნამდე დარჩა 565 დღე

# მოუთმენლად ელიან

**წლევანდელი** სპორტული წლის საბჭოთა და უცხოელი „ვარსკვლავები“ — საკდესის ტრადიციული საახალწლო ანკეტის გმირები — ოცნებობენ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობასა და გამარჯვებაზე.

„ოლიმპიადა-80“-ში მონაწილეობა ჩემთვის, როგორც ყველა კუბელი სპორტსმენისთვის, ღირსშესანიშნავი მოვლენაა, ვინაიდან ასეთი დიდი შეჯიბრება პირველად ტარდება სოციალისტურ ქვეყანაში, რომელმაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია არა მარტო ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის, არამედ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში“, — თქვა ორი ოლიმპიადის გამარჯვებულმა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა მძიმეწონოსანმა მოკრივემ **თეოფილო სტივენსონმა.**

„დარწმუნებული ვარ, მოსკოვის ოლიმპიური თამაშები, რომელშიც მონაწილეობაზე ვოცნებობ, დიდი სპორტის გრანდიოზული ზეიმი იქნება“. ეს სიტყვები ეკუთვნის 15 წლის ამერიკელ სპორტსმენს, თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდსმენს **ტრეისი კოლკინსს.**

მსოფლიოს ჩემპიონს, 20 წლის ბულგარელ შტანგისტს **იანკო რუსევს** უმთავრეს მიზნად მოსკოვის ოლიმპიადაში გამარჯვება მიაჩნია. ოლიმპიური ოქროს მედალი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის, პენზელი წყალში მხტომელის **ირინა კალინინას** სანუკვარი ოცნებაა.

საკდესის ანკეტის მონაწილე სპორტსმენთა უმრავლესობა, საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ ოლიმპიადამდე — 1979 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე აპირებს ჩამოსვლას. მაგალითად, ამ ასპარეზობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ოთხი მსოფლიოს რეკორდის ავტორი კენიელი **ჰენრი რონო,** მისი აზრით, სპარტაკიადაზე გამარჯვებისთვის იბრძოლებენ ის მორბენლები, რომლებიც ერთი წლის შემდეგ უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოს მთავარი მაძიებლები იქნებიან.

ცნობილი უნგრელი მოფარიკავე, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ხმლით მოფარიკავეთა გუნდის კაპიტანი **პალ გერევიჩი** სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადას ოლიმპიადისწინა რეპეტიციას უწოდებს.

არსებულის, თუნდაც ძალიან მაღალი მსოფლიო მიღწევების გაუმჯობესებაზე ოცნებობენ წლევანდელი სპორტული წლის გმირები. მაგალითად, ოლიმპიური და ევროპა-78-ის ჩემპიონი ბირთვის კვრაში **უდო ბეიერი** (გდრ), რომელიც პირველი გასცდა 22-მეტრიან ზღვარს, დარწმუნებულია, რომ შესაძლებელია იარაღის უფრო შორს —22,30 მეტრზე გაგზავნა (ახლანდელი მსოფლიოს რეკორდია 22,15). რონო კი ასეთ ამოცანას ისახავს: 3000 მეტრი წინაღობებით 8 წუთზე ნაკლებ დროში, 5000 მ — 13 წუთზე, ხოლო 10000 მ 27 წუთზე სწრაფად დაფაროს.

მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში **ე. მუხინა** ფიქრობს, რომ თანამედროვე ტანვარჯიშში რთული ილეთებით „გატაცება“ შენელდება. სპორტსმენთა უმრავლესობის ვარჯიშები დღესაც საკმაოდ რთულია, მაგრამ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში წარმატების აუცილებელი პირობა იქნება კომპოზიციების ბრწყინვალე, უშუალო და გამოკვეთილი შესრულება.

მოსკოვის ოლიმპიური აუზის ცისფერ ბილიკებზე ძირითადი მეტოქეობა, კოლკინსის აზრით, აშშ-ის, სსრ კავშირისა და გდრ-ის სპორტსმენებს შორის გაიმართება. თუმცა გამორიცხული არ არის სიურპრიზები სხვა გუნდების წარმომადგენელთა მხრივ. მისი „კოლეგა“ ლენინგრადელი **ვ. სალნიკოვი** დარწმუნებულია, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლაში ძირითადი ოპონენტები იქნებიან აშშ-ის მოცურავეები და სწრაფად „მზარდი“ იუგოსლაველი სპორტსმენი **ბ. პეტრიჩი.**

რუსევი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, ოქროს და შესაძლოა 1980 წლის ოლიმპიური თამაშების ნებისმიერი მედლის მოსაპოვებლად აუცილებელი იქნება მსოფლიოს რეკორდის დამყარება. ყოველ შემთხვევაში, მის წონაში მედლის პრეტენდენტთა წრე შესამჩნევად გაფართოვდა. რუსევის აზრით გაიმარჯვებს ის სპორტსმენი, რომელიც ორჭიდის ჯამში 325 კგ-ს დააგროვებს.

წლის გმირებს სპორტი მეგობრობის, ამხანაგობის განმტკიცების, სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდობის დამაახლოვებელ საშუალებად მიაჩნიათ. „სპორტი შესანიშნავია!“ — ამბობს მსოფლიოს რეკორდსმენი, იტალიელი სიმაღლეზე მხტომელი **სარა სიმეონი,** — შეჯიბრებაზე ზოგი იგებს, ზოგი აგებს, მაგრამ მეგობრობა რჩება. „ვოცნებობ მეგობრებთან ახალ შეხვედრაზე“, — თქვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ფინელმა **ა. კარპინენმა.** (საკდესი).





**მოსკოვის** ერთ-ერთ თვალწარმტაც რაიონში — იზმაილოვოში გამალებით მიმდინარეობს დედაქალაქში ყველაზე დიდი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა: ოლიმპიური თამაშების დროს აქ 10 ათასი ტურისტი დაბინავდება.

საკდესის ფოტო.

# ოლიმპიური სოლიდარობა

— მადლობა სსრ კავშირის ტანვარჯიშის ფედერაციასა და საბჭოთა ოლიმპიურ კომიტეტს საერთაშორისო სემინარის ბრწყინვალე ორგანიზაციისთვის; მადლობა იმ ცოდნისთვის, რომელიც აქ 17 ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს... კარგი იქნება თუ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო სემინარების ჩატარების ორგანიზაციასთან ერთად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიავლენს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებსა და მწვრთნელებს ტანვარჯიშის, ამ ლამაზი სპორტის სახეობის შესასწავლად, — ოლიმპიური სოლიდარობის პრინციპით გამართული სემინარის მონაწილეთა სახელით განაცხადა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ირლანდიელმა ჯონ მერფიმ.

საბჭოთა მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა ბევრი გააკეთეს მსოფლიოში ტანვარჯიშის პოპულარიზაციისთვის. სწორედ სსრ კავშირს უნდა უმადლოდეს ამერიკა სატანვარჯიშო ბუმს. ქვეყანა, სადაც წლების განმავლობაში ტანვარჯიშს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, ოლღა კორბუტისა და მისი თანაგუნდელების ბრწყინვალე გამოსვლებმა გამოაცოცხლა, როცა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მიუნხენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ იქ ტურნე გამართეს.

აშშ-ში საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა ყოველი ვიზიტი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. ამას კი უკვალოდ არ ჩაუვლია. ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს ახლანდელ ჩემპიონატში სტრასბურგში, ისტორიაში პირველად, აშშ-ს გუნდმა საერთო III ადგილი დაიკავა ისეთი კორიფეების შემდეგ, როგორიც არიან სსრ კავშირი და იაპონია.

არა მარტო ტანვარჯიშის მწვრთნელები უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას საზღვარგარეთ. ამჟამად 24 ქვეყანაში 122 საბჭოთა სპეციალისტი მუშაობს.

მას შემდეგ რაც დანიაში ჩავიდა სსრ კავშირის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბორის კულაგინი, ამ ქვეყანაში ჰოკეი განვითარდა. ადგილობრივი პრესა აღნიშნავს საბჭოთა სპეციალისტის პედაგოგიურ ოსტატობას.

საბერძნეთში, ფეხბურთელთა გუნდ „პანიონისს“ ავარჯიშებს საბჭოთა მწვრთნელი იგორ ნეტო, წარსულში ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ბრწყინვალე ადამიანი, რომელიც, საბერძნეთის კლუბის პრეზიდენტის კოსტას ცოლაკაკის აზრით ეხმარება საბჭოთა კავშირს მის ქვეყანაში მეგობრების შეძენაში.

მოსკოვში, ტანვარჯიშის საერთაშორისო სემინარზე ერთმანეთს შეხვდნენ კუბის, პორტუგალიის, ლუქსემბურგის, ფინეთის, საბერძნეთის, მექსიკის, პუერტო-რიკოს, ინდონეზიის, ერაყის, კუვეიტის, თურქეთის, მაროკოს, ტუნისის, ირლანდიის, ნიგერიისა და სხვა ქვეყნების სპეციალისტები და სპორტსმენები. მოსკოვში ყოფნისას მათ პირადად იგრძნეს ოლიმპიური სოლიდარობის ძალა, მეგობრული კონტაქტების სიკეთე და გულუხვობა, რომლითაც საბჭოთა სპეციალისტები უზიარებდნენ მათ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას.

ტანვარჯიშული სემინარის მონაწილეები სამშობლოში გაემგზავრნენ, მაგრამ მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სასწავლო აუდიტორიები კრივის საერთაშორისო სემინარის მსმენელებმა დაიკავეს.

და კვლავ საუკეთესო საბჭოთა მწვრთნელები და მასწავლებლები და მათ შორის პროფესორი ქ. გრადოპოლოვი, კითხულობენ ლექციებს და ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს ევროპის, აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის წარმომადგენლებთან. მოსკოვში ჩამოვიდნენ კუბელებიც, რომლებმაც რინგზე გამარჯვებებით საერთო აღიარება მოიპოვეს, მაგრამ სურთ უფრო დახვეწონ ოსტატობა. სასიამოვნოა, რომ კუბის კრივის დღევანდელი დიდების აკვანი დაარწია საბჭოთა სპეციალისტმა ანდრეი ჩერვონენკომ.

კრივის სპეციალისტებიც, ისევე, როგორც მათი კოლეგები — ტანმოვარჯიშეები, შინ სპორტის თავიანთი სახეობის განვითარების ახალი იდეებითა და ოლიმპიური სოლიდარობის რწმენით დაბრუნდებიან. (ასსი).

# იმსჯელეს აქტუალურ საკითხებზე

**ამ დღეებში** თელავში ჩატარდა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარი გახსნა და „რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების გადაწყვეტილების შესაბამისად ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენება გააკეთა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **შ. ქეცლიაშვილმა.**

მოხსენებებითა და ინფორმაციებით გამოვიდნენ: საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი **ტ. ჭრიკიშვილი** — „სპორტული ბაზებისა და ნაგებობების რეგისტრაციის ახალი წესებისა და სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი ფიზკულტურისა და მშდ კომპლექსის განყოფილების უფროსი **გ. მძელური** — „რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის დანერგვისათვის მუშაობის მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ,“ საქართველოს სპორტკომიტეტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი **ბ. აგრანატი** — „რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ“. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსი დ. კაპცოვი — „საქართველოს სსრ VII საზაფხულო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მზადების მდგომარეობის შესახებ,“ აგრეთვე, „XXII ოლიმპიური თამაშებისათვის სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების 1978 წლის გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ“.

ბოლოს საქართველოს სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს თანამშრომლებმა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელ ფიზკულტურულ მუშაკებს ჩაუტარეს პრაქტიკული მეცადინეობა.

## [illegible]

### ✦ სამტრედია

ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული პირველობა ფრენბურთში, რომელშიაც გოგონათა 8 და ჭაბუკთა 13 გუნდი მონაწილეობდა.

გოგონათა შორის I ადგილზე გავიდა სოფელ ილორის საშუალო სკოლის ნაკრები, ჭაბუკთა შორის კი უძლიერესი იყო სოფელ ნოღის საშუალო სკოლის კოლექტივი.

ი. ნიკოლეიშვილი.

### ✦ აბაშა

კოდორის გზატკეცილზე გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირველობა ველორბოლაში. სულ 12 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობა ზანათის საშუალო სკოლის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აბაშის II სკოლისა და ტყვირის ველოსიპედისტები. პირადი პირველობა მოიგო ზანათელმა მოსწავლემ გ. პატარაიამ. 10 მონაწილემ შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები.

რ. ჟანტურია.

### ✦ ჭიათურა

საინტერესოდ ჩატარდა ფეხბურთის მწვრთნელის გ. იობაშვილის სახელობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12 გუნდმა. გარდამავალი თასი წილად ხვდათ ახალი ითხვისის მაღაროს ფეხბურთელებს (მეთოდისტი ა. თურმანიძე), რომლებმაც ფინალში ანგარიშით 5:2 დაამარცხეს ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გუნდი „მშვიდობა“.

გ. ბარჯაძე,
(ჩვენი კორ.).

# საკმარისია ერთადერთი სიტყვა

დასასრული

— როგორ ფიქრობთ, დავიწროვდება თუ არა მომავალში დებიუტთა წრე. ჭადრაკი ძალზე სწრაფად ვითარდება და სულ მალე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ უკვე პირველი სვლა, ვთქვათ, e2-e4 ბევრად სჯობს დანარჩენებს. შედეგად საჭადრაკო პრაქტიკიდან თავისთავად განიდევნება d2-d4-თან და სხვებთანაც დაკავშირებული დებიუტები და სადებიუტო სისტემები.

— ამის საშიშროება ნამდვილად არ არსებობს. ეს რომ ასეა, ჭადრაკის ისტორიისთვის ზერელე თვალის გადავლებაც დაგარწმუნებთ. ღია სისტემები დახურულმა სისტემებმა შეცვალეს. მოჭადრაკეთა არსენალში ახლა ერთ-ერთ ძირითად იარაღად ლაზიერის გამბიტი ითვლება, მას კი ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩის შემდეგ მაინცდამაინც არ სწყალობდნენ. და საერთოდ, სერიოზულ ტურნირებშიც კი სულ უფრო ხშირად იყენებენ მივიწყებულ დებიუტებს. მოკლედ, ესა თუ ის მოდა გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ ბრუნდება.

— რას უნდა ველოდოთ ახლო მომავალში მოჭადრაკე მანქანებისგან?

— უნდა გითხრათ, რომ ამ სფეროში დილეტანტი ვარ. რკინის მოჭადრაკეებზე საუბარი ოცი წელიწადია მესმის. ეს ძველისძველი თამაში შემთხვევით არ მოექცა მეცნიერთა მხედველობის არეში. გამომთვლელი მანქანისთვის ჭადრაკი მართლაც მშვენიერი მოდელია. სიმართლე გითხრათ, როგორც მოჭადრაკე ამ გარემოებით აღფრთოვანებული არა ვარ. ვფიქრობ, და ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ ბევრად საინტერესო იქნება, თუ მომავალშიც მსოფლიოს ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად ისევ ადამიანები მიუსხდებიან საჭადრაკო დაფას.

— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ ლაპარაკობდით მესინგსა და ტელეპატიაზე...

— ეს ყველაფერი ურიგო არ არის როგორც ფოკუსი, ცხოვრებაში კი... სპასკის წინააღმდეგ მატჩში (თბილისში მოეწყო) მესინგმა გამარჯვება მე მიწინასწარმეტყველა. როგორც იცით, წინასწარმეტყველი შეცდა. მერე კი ხუმრობდნენ, ტალმა მესინგის წინააღმდეგ პრესინგს მიმართაო.

— ჭადრაკის მოყვარულმა იცის, რომ ბაგიოში მსოფლიოს პირველობის მატჩს ესწრებოდით...

— ალბათ ჩემი ფუნქციები გაინტერესებთ. პირველი — ყოველკვირეული დამატება „64“-ის კორესპონდენტობა, მეორე — მაგალითად კარპოვი მეკითხება: თქვენი აზრი ამა და ამ სვლაზე. მე ჩემს აზრს ვეუბნები. თუმცა, ყველაფერ ამას მოდური სიტყვა „კონსულტანტი“ უფრო მოუხდება. თვით მატჩზე უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა, მაგრამ ამ სამ ათეულ პარტიაზე სერიოზული საუბარი ჯერ კიდევ წინ არის.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს განზე გაუდექით მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლას. ეს გარემოება თქვენს გულშემატკივრებს ხელს არ აძლევს.

— არც მე მაძლევს ხელს. ყველა ჩემი მეტოქე რომ ჩემი გულშემატკივარი იყოს, ეს შეკითხვა ალბათ აღარც იქნებოდა საჭირო. მაგრამ სულ ასეც არ არის. 1979 წელს საზონათშორისო ტურნირში ვითამაშებ.

— რობერტ ფიშერი. უკვე 6 წელიწადია, რაც ის ჭადრაკს ჩამოსცილდა. ამბობენ, ფიშერი ამ ბოლო დროს ცოტა გამოცოცხლდაო.

— დანამდვილებით რაიმეს თქმა ძნელია. ერთი კი არის — ფიშერის დაბრუნება ახლა უფრო რეალური ჩანს, ვიდრე ოდესმე ამ ექვსი წლის მანძილზე.

— რამდენიმე სიტყვა ჩემპიონატში მონაწილე ერთადერთ ქართველ მოჭადრაკეზე.

— თითქოსდა ტრადიციად იქცა, რომ ტურნირში ბოლო მომენტში მოწვეული მოჭადრაკე დიდი წარმატებით თამაშობს. მართალია, კიდევ ერთი პარტიაა სათამაშო, მაგრამ თამაზ გიორგაძემ მართლაც ჩინებულ შედეგს მიაღწია — არც ერთი დამარცხება! დამეთანხმებით, ეს რაღაცას ნიშნავს. — ტალი წამით ჩაფიქრდა, მაშინვე ღიმილისმაგვარმაც გადაუარა სახეზე და სანამ რაიმეს იტყოდა, მივხვდი, სათქმელი იუმორით ჰქონდა შეზავებული. — როგორც ჩანს, თქვენმა მოჭადრაკე კაცებმა სერიოზულად გადაწყვიტეს ემანსიპაციისათვის ბრძოლა.

— პროგნოზი სარისკო და, ცოტა არ იყოს, უმადური საქმეა. და მაინც, ქალთა შორის შემდეგი მსოფლიოს პირველობის ფინალური მატჩის მონაწილე წყვილი....

— ერთ მათგანს საკმაოდ გაბედულად დაგისახელებთ. თუმცა, არა, მაინც მგონია, რომ ბიჭვინთაში დაწყებული კამათი ჯერ არ დამთავრებულა.

— მაია ჩიბურდანიძე...

— საოცარი მოვლენაა. ამ ასაკში ჯერ არავის მიუღწევია და მგონი ვერც ვერავინ მიაღწევს ასეთ სიმაღლეს. ეს ყველაფერი ტალანტმა, ჭადრაკის სიყვარულმა და რა თქმა უნდა, ქართულმა საჭადრაკო სკოლამ შეაძლებინა 17 წლის გოგონას. და თუ გყავთ მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ვფიქრობ, იმიტომაც, რომ გყავთ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

— თუ არ ვცდები, ეს კითხვა... მაპატიეთ, სვლა მეთორმეტეა: ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატების საიდუმლო...

— რიგაში რომ ეს საიდუმლო იცოდნენ, მაშინ ლატვიელ მოჭადრაკე ქალთა წარმატებაზე ილაპარაკებდნენ. იქნებ თქვენ გამანდოთ?

— სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით. მეცამეტე სვლას ისევ თქვენ გითმობთ და, რა თქმა უნდა, გნებდებით.

— რა გაეწყობა, — ამბობს და ახლა უკვე თავის თავს ეკითხება: „როგორი განწყობილებით მიემგზავრები თბილისიდან?“ „მშვენიერი. მომავალ შეხვედრამდე თბილისში, მრავალ ახალ წელს დაესწარი“. — პასუხობს მოჭადრაკე ჟურნალისტს, მერე კი „ლელოს“ მკითხველთათვის ბედნიერ 1979-სა და კეთილ სურვილებს მაბარებს.

მეორე დღეს მიხეილ ტალი სწრაფად შეუთანხმდა ყაიმზე მეტოქეს და მეექვსედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული. იმავე საღამოს კი სპორტის სასახლეში თბილისის „დინამოს“. ჩემპიონად კურთხევის ოფიციალურ ცერემონიალს დაესწრო.

...წლებმა თავისი ქნა — მიხვრამოხვრაც დაუმძიმა, მელოტიც გაუჩინა ამ კაცს, უვნებელიც ჩანს. მაგრამ საკმარისია ერთადერთი სიტყვა „ტალი“, რომ წლობით ნატყვევარმა, ცოტა მობერებულმა, და მაინც ლომმა შემოგანათოთ თვალები.

ტახტსაც, გვირგვინსაც და კვერთხსაც ერთბაშად ელევიან მეფეები. ორ მათგანს ისიც შეელია... ახლა სხვისია ტახტიც, სხვას ადგას ის გვირგვინიც, მაგრამ კვერთხი, საყოველთაო სიყვარული და აღტაცება რომ აწერია, ისევ მიხეილ ტალს უპყრია ხელთ.

**ი. ბერიაშვილი.**

## ჭადრაკი

**გუშინწინ** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა შეხვედრა ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონ დიდოსტატ მ. ჩიბურდანიძესთან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ კ. კეთილაძემ გამოჩენილ დინამოელ მოჭადრაკეს მიულოცა დიდი გამარჯვება ჭადრაკის დედოფლის ტახტისთვის უძნელეს ბრძოლაში და ახალ, 1979 წელს ჯანმრთელობა, ბედნიერება, ახალი მიღწევები უსურვა და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

**ე. ხერგიანი.**

# დევიზი — „მასობრიობა და ოსტატობა“

დუშეთის ცემენტის ქარხნის ფიზკულტურელებმა შეაჯამეს შედეგები ქარხნის სპარტაკიადისა, რომელიც ჩატარდა დევიზით „მასობრიობა და ოსტატობა“. საწარმოს კომპლექსურ შეჯიბრებებში 300-მდე მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა. ისინი სპორტის 6 სახეობაში ეპაექრებოდნენ ერთმანეთს.

გუნდების მიერ მძლეოსნობაში, ცურვაში, სროლასა და სხვა სახეობებში ნაჩვენებ შედეგებს გულშემატკივრები ალხუსხავდნენ, ანგარიშობდნენ... ასეთი ინტერესი შემთხვევითი არ არის. საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, მხედველობაში მიიღება არა მარტო საწარმო, არამედ სპორტული მაჩვენებლებიც.

**ლ. ჩიგრინი.**

დუშეთი.

## თხილამურები

**სამთო**-სათხილამურო სპორტში მსოფლიოს თასებისათვის მებრძოლმა ქალებმა უკვე ხუთი შეჯიბრება გამართეს და, ასე ვთქვათ, „საახალწლო ჩემპიონის“ ვინაობაც გაირკვა: ეს გახლავთ შვეიცარიელი მ.-ტ. ნადიგი, რომელსაც 79 ქულა აქვს და 4 ქულით ასწრებს თასის მრავალგზის მფლობელს ავსტრიელ ა. მოზერ-პროლს. III ადგილზეა ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) — 60 ქულა.

მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურე ქალებმა თასებისთვის ბრძოლა პიანკაველოს (იტალია) ტრასაზე სწრაფდაშვებით დაიწყეს. მაშინ ყველას აჯობა მოზერ-პროლმა — 1.46,06, მომდევნო ადგილებზე კი დ. დე აგოსტინი (1.47,79) და ე. დირენი (როივე-შვეიცარია) გავიდნენ — 1.48,0.

მეორე დღეს აქვე სპეციალურ სლალომში შეჯიბრება გაიმართა, რომელიც 21 წლის ამერიკელმა ა. ფიშერმა მოიგო — 1.49,81.

ორდღიანი შესვენების შემდეგ ჩატარდა შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. ამჯერად უპირატესობა ვენცელის მხარეს იყო — 2.43,8, მან ნადიგს 0,34 წამი მოუგო.

პიანკაველოდან თასის მაძიებლებმა ვალ-დ' იზერში (საფრანგეთი) გადაინაცვლეს და აქ სწრაფდაშვება გამართეს, რომელშიც ისევ მოზერ-პროლმა იმარჯვა — 1.20,28. ორი დღის მერე კი გიგანტურ სლალომში პირველობა მოიგო კ. კინსჰოფერმა (ავსტრია), რომელმაც გამარჯვებისთვის 2.19,85 დახარჯა. მომდევნო ადგილები ერგოთ ვენცელსა და ნადიგს.

• • •

**საბჭოთა** ბიატლონისტებს სამართლიანად მიიჩნევენ უძლიერესებად. მათ მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში არაერთი ოქროს მედალი მოუხვეჭიათ. ახლაც, მომავალ მსოფლიოს პირველობაში, რომელიც იანვარში დასავლეთ გერმანიაში ჩატარდება, მათ მოზრდილთა და იუნიორთა შორის ფავორიტებად მიიჩნევენ.

ამ სტარტებისთვის ჩვენი სპორტსმენები სამზადისს დროულად შეუდგნენ და პირველი საკავშირო შეჯიბრებაც გამართეს კრასნოგორსკში. 10 კილომეტრზე რბოლა (ორ პოზიციაზე სროლით) მოიგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ნ. კრუგლოვმა (შეიარაღებული ძალები), რომელმაც ყველაზე სწრაფად ირბინა და უშეცდომოდაც ისროლა — 20.27.

II ადგილზე გავიდა ვ. ბარნაშოვი (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები), რომლის შედეგია 31.10. მან 2 ტყვია დააცილა სამიზნეს, ვ. ალიკინმა („ბურევესტნიკი“) 5 ტყვია გაუშვა სამიზნის მიღმა, მაგრამ სისწრაფის წყალობით III ადგილი დაიკავა — 31.20.

შემდეგ სპორტსმენებმა ძალები სცადეს 20 კილომეტრზე 4 პოზიციიდან სროლით. მაგრამ ამჯერად მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ნ. კრუგლოვს სხვებმა აჯობეს. ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა ვ. არტენიევი, რომელმაც საბოლოოდ ფინიშამდე მისვლას 1:03.30 მოანდომა. კრუგლოვს აჯობა ნ. ტოკარევმაც — 1:04,24.







**როგორც** ვიუწყებოდით, ამას წინათ თბილისში გ. ეგნატაშვილის სახელობის განათლების განყოფილების ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის ახალგაზრდული პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე.

ამ სურათებზე სწორედ გამარჯვებულებია გამოსახული. ზემოთ — ოსტატობის კანდიდატთა შორის პირველ ადგილზე გამოსულნი ლიანა გალჩევა და გია სელიმაშვილი. ოსტატებში უძლიერესი ალექსანდრე ხაჩატურიანი; ქვემოთ — ოსტატებს შორის უძლიერესი ანაიდა ბაბახიანი, გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სკოლის კოლექტივი.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.

# ჩვენი ტანვარჯიშის იმედი





# დაიწყო მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები. საინტერესოდ, ხალისიანად, ჯანმრთელობისათვის სასარგებლოდ გამოვიყენოთ მისი ყოველი დღე!



გვიხმობს ბაკურიანი. — რ. რუხკიანის ფოტო.

## კევინ კიგანი — №1

**პარიზი,** 28 დეკემბერი. „ფრანს ფუტბოლის“ ყოველწლიური ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ევროპის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეულია ინგლისელი კევინ კიგანი. მან გამოკითხვაში დააგროვა 87 ქულა. II ადგილი ერგო ავსტრიელ ფეხბურთელს იოჰან კრანკლს (81 ქულა). მომდევნო ადგილებზე არიან ჰოლანდიელი რობი რენსენბრინკი (50), იტალიელები რობერტო ბეტეგა (28) და პაოლო როსი (23).

27 წლის კ. კიგანს, რომელმაც შარშან ინგლისის „ლივერპულის“ შემადგენლობაში მოიგო ევროპის ჩემპიონთა თასი, წლეულს კი გამოდის დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგში“, გადაეცა „ოქროს ბურთი“. ამ პრიზით დაჯილდოება ხდება 1956 წლიდან. მისი პირველი ლაურეატი იყო ინგლისელი სტენლი მეთიუზი. ჩვენს თანამემამულეთა ფეხბურთელთაგან „ოქროს ბურთით“ დაჯილდოვდნენ ლევ იაშინი (1963) და ოლეგ ბლოხინი (1975).

კ. კიგანის ამპლუა მინდორზე იოლი გასარკვევი არაა. საშუალო სიმაღლისა (172 სმ), იგი ყველგან ასწრებს, მონაწილეობს იერიშის მომზადებაშიც და მის დამთავრებაშიც. „ლივერპულის“ შემადგენლობაში ინგლისის ჩემპიონატებისა და ევროპულ ტურნირებში მან, მაგალითად, გაიტანა 84 ბურთი, ხოლო „ჰამბურგში“ ერთნახევარი სეზონის მანძილზე — 20-მდე. ინგლისის ნაკრებში კ. კიგანი გამოდის უკვე 5 წელია, სადაც მან ჩაატარა დაახლოებით 40 მატჩი.

## „ეკიპი“ იუწყება

ცნობილი ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპი“ იუწყება, რომ ესპანეთში, 1982 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში, მონაწილეობას მიიღებს 24 გუნდი, რის თაობაზეც მიღწეულია „საიდუმლო მოლაპარაკება“ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ჟ. აველანჟსა და ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს რ. საპორტას შორის.

გაზეთი ირწმუნება, რომ მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის ფორმულა ასეთია: ესპანეთი ითამაშებს როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორი ქვეყანა, არგენტინა — როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, 13 ადგილს მიიღებს ევროპა, სამს — სამხრეთ ამერიკა, დანარჩენებს — აფრიკა, აზია და ოკეანია, აგრეთვე, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ზონის ქვეყნები.

ფინალის მონაწილე ეს 24 გუნდი ითამაშებს 4 წინასწარ ჯგუფში, 6-6 თითოეულში, პირველ 2 ადგილებზე გასულნი გააგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისთვის.

მაგრამ „ეკიპი“, ეტყობა, თავს იზღვევს, როცა აცხადებს, რომ ფიფა-ში ახლა სხვა ვარიანტზეც მუშაობენ, ამიტომ სავარაუდოა, რომ გათამაშება სხვა სისტემითაც ჩატარდეს.

## „ლივერპული“ უარზეა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა ინგლისის „ლივერპულმა“ უარი თქვა ითამაშოს საკონტინენტთაშორისო თასზე, სადაც მისი მეტოქეა არგენტინის „ბოკა ხუნიორსი“. ინგლისელთა ნაცვლად ევროპელთა სახელს ამ გათამაშებაში დაიცავს ჩემპიონთა თასის ფინალისტი — ბელგიის „ბრიუგე“. საკონტინენტთაშორისო თასის პირველი მატჩი 20 აპრილს შედგება ბელგიაში, ხოლო განმეორებითი — მაისის დასასრულს, ბუენოს-აირესში.

## „ნივა“ სტარტს იღებს პარიზში

საფრანგეთის დედაქალაქში სტარტი მიეცა საერთაშორისო ავტორალის პარიზი — დაკარი, რომლის მარშრუტის მნიშვნელოვანი ნაწილი 10 ათასი კილომეტრი გაივლის საჰარის უსიცოცხლო სივრცეებში. ამგვარი შეჯიბრების ისტორიაში აქ პირველად მონაწილეობენ არა მარტო მსუბუქი მანქანები, არამედ სატვირთოებიც და მოტოციკლებიც. რამდენიმე ეკიპაჟმა სტარტი აიღო საბჭოთა ყველგანმავალი „ნივათი“.

## ცხრა რეკორდი

**9 მსოფლიოს** რეკორდი დაამყარეს საბჭოთა პარაშუტისტებმა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თასის გათამაშებაში. ღამით ჯგუფურ ხტომაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გ. იურკომ, ხ. იუსუფოვმა, ნ. ჩიჟოვმა, ე. ცუპკომ ვ. ალექსანდროვმა, ე. ბროვკინმა, ს. გულაკმა და ე. უსოვმა: ისინი ზუსტად სამიზნის ცენტრში დაეშვნენ.

ქალთა შორის ჯგუფურ ხტომაში ზ. კურიცინამ, ა. დანილოვამ, რ. სადიკოვამ და ა. კონიშევამ პირველივე ცდაზე ზუსტად „მოარტყეს“ მიზანში, ხოლო მეორე ცდაზე მხოლოდ 27 სანტიმეტრით დაშორდნენ მას.

საბოლოოდ თასები მოიპოვეს ე. ბროვკინმა, რომლის ცენტრიდან გადახრა 44 ნახტომის ჯამში სულ რაღაც 24 სანტიმეტრი იყო და ე. ალექსეევამ (31 ნახტომის ჯამში 50 სმ).

## მეექვსე სახალხო...

**ულან ბატორი.** მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, მომავალ წელს VI საერთო-სახალხო სპარტაკიადის ჩატარების თაობაზე. შეჯიბრება სპორტის 17 სახეობაში ჩატარდება რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურულ და სპორტულ კოლექტივში. სპარტაკიადა ეწყობა მოსკოვის ოლიმპიადისათვის საერთო ეროვნული მზადების ჩარჩოებში.

(საკდესი).

## გდრ

XIII ტურში ბერლინის „დინამო“ სტუმრად თამაშობდა „ფკ კარლ-მარქს-შტადტთან“ და გაიმარჯვა — 2:1, მისი ორივე მდევარი კი ისევ შეფერხდა: „მაგდებურგი“ სტუმრად ფრეს (1:1) დასჯერდა „ხემისთან“ (ბელენი), ხოლო დრეზდენის „დინამომ“ საკუთარ მინდორზე ვერაფერი გააწყო „კარლ ცაისთან“ (იენა) — 0:0.

13 ტურის შემდეგ ბერლინის „დინამოს“ 25 ქულა აქვს, დრეზდენის „დინამოს“ — 19, „მაგდებურგსა“ და ლაიფციგის „ლოკომოტივს“ — 17-17.

## უნგრეთი

ყველაზე უკეთ ჯერჯერობით ბუდაპეშტის „ჰონვედი“ თამაშობს. XVI ტურში იგი შეხვდა სომბათჰეის „ჰალადაშს“. მასპინძლების უპირატესობა აშკარა იყო — 3:0. მიმომხილველთა აზრით „ჰონვედი“, რომელსაც სათავეში უდგას განთქმული ტიხი, ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტია. II ადგილზე ახლა „ფერენცვაროშმა“ გადაინაცვლა, რომელმაც ბუდაპეშტში იოლად სძლია „ბანიასს“ (ტატაბანია) — 4:1.

XVI ტურის შემდეგ „ჰონვედს“ 25 ქულა აქვს, „ფერენცვაროშს“ — 23, „დოჟა-უიპეშტს“ — 22.

## ჰოლანდია

XVII ტურში ორივე ლიდერმა გამარჯვება იზეიმა. „აიაქსი“ (ამსტერდამი) თამაშობდა ენსხედეში „ტვენტესთან“ და დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა — 3:2, „როდამ“ (კერკრადე) სძლია დებიუტანტს — პეკ-ს (ცვოლე) — 2:0.

„ეინდჰოვენისა“ და „სპარტას“ (როტერდამი) მნიშვნელოვანი მატჩი დასრულდა პირველის გამარჯვებით — 2:1.

ახლა „აიაქსსა“ და „როდას“ 26-26 ქულა აქვთ, „ეინდჰოვენს“ — 23.

## გფრ

XVII ტურში „ბაიერნმა“, რომელმაც წინა შეხვედრაში ნამდვილი ფიასკო განიცადა (1:7), მიიღო II ადგილზე მყოფი „ჰამბურგერ შპორტფერაინი“. ბავარიელები დიდხანს და უშედეგოდ უტევდნენ, თამაშის ბედი კი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც კიგანის ბრწყინვალე გარღვევის შემდეგ გაიტანა მემერინგმა. „ბაიერნი“ ამ სეზონში პირველად დამარცხდა საკუთარ მინდორზე.

ლიდერი — „კაიზერსლაუტერნი“ ბოხუმში წინ იყო ადგილობრივ გუნდთან შეხვედრაში (2:0), მაგრამ „ბოხუმმა“ მაინც შეძლო ქულის გადარჩენა — 2:2.

დანარჩენი მატჩების შედეგებია: „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „დუისბურგი“ 1:0, „შალკე 04“ (გელზენკირხენი) — „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) 4:4, „ჰერტა“ (დას. ბერლინი) — „კიოლნი“ 0:2 (ეს „ჰერტას“ პირველი დამარცხებაა ჩემპიონატში თბილისიდან დაბრუნების შემდეგ), „ვერდერი“ (ბრემენი) — „ნიურნბერგი“ 3:1, „შტუტგარტი“ — „დარმშტადტ 98“ 3:0, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) 1:0.

XVII ტურის შემდეგ კვლავინდებურად წინაა „კაიზერსლაუტერნი“, რომელსაც 26 ქულა აქვს, „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ — 23 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი, „შტუტგარტს“ — 22 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი.

### ჩემპიონატები, ტურები, ლიდერები

## ავსტრია

ყველაზე დიდი მოულოდნელობაა ავსტრიის არაერთგზის ჩემპიონის „სვაროვსკი-ვაკერის“ (ინსბრუკი) სუსტი თამაში. XVIII ტურში იგი ვენაში დამარცხდა (0:2) „ადმირა-ვაკერთან“ და გათამაშების ცხრილში IX ადგილზეა.

ლიდერმა — „აუსტრიამ“ (ვენა) მიიღო „გრაცერ ატლეტიკო კლუბი“ და გაიმარჯვა — 3:0. მისი მთავარი კონკურენტი „რაპიდი“ (ვენა) გრაცის მეორე კლუბს „შტურმს“ ხვდებოდა და ასეთივე ანგარიშით გაიმარჯვა.

XVIII ტურის შემდეგ ვენის „აუსტრიას“ 27 ქულა აქვს, „რაპიდს“ — 23.

## შოტლანდია

XVII ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გლაზგოს „სელტიკის“ შეხვედრას „დანდი იუნაიტედთან“. ფრე — 1:1. „პარტიკ თისლის“, რომელიც კვალდაკვალ მისდევს „დანდი იუნაიტედს“, ლიდერის დაწევის შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ ვერ შეძლო სტუმრად „ჰიბერნიენის“ (ედინბურგი) დამარცხება — 0:0.

XVII ტურის შემდეგ „დანდი იუნაიტედს“ 21 ქულა აქვს, „პარტიკ თისლის“ — 20, „აბერდინსა“ და „სელტიკს“ — 19-19.

## ინგლისი

არც თუ ისე დიდი ხნის წინ „ლივერპულის“ სალიდერო პოზიციები სავსებით ურყევად მიაჩნდათ, ახლა კი მისი მდგომარეობა აშკარად გაუარესდა. ლიდერი XX ტურში სტუმრად თამაშობდა „ბრისტოლ სიტისთან“ და დამარცხდა — 0:1. „ევერტონი“, ამ სეზონში ერთადერთი დაუმარცხებელი კლუბი, შინ, ლივერპულში, გაჭირვებით გადაურჩა „ლიდს იუნაიტედს“ — 1:1. საპრიზო ადგილების დანარჩენმა პრეტენდენტებმა გაიმარჯვეს.

„ნოტინჰემ ფორესტმა“ შინ ანგარიშით 1:0 მოუგო „ბირმინჰემ სიტის“. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ ვულვერჰემპტონში დამაჯერებლად დაამარცხა (3:0) ადგილობრივი „უოლვერჰემპტონ უონდერერსი“, ხოლო „არსენალმა“ ლონდონში მოუგო „დერბი ქაუნთის“ — 2:0.

ტურის სხვა მატჩების შედეგებია: „ასტონ ვილა“ — „ნორვიჩ სიტი“ 1:1, „იფსვიჩ თაუნი“ — „ბოლტონ უონდერერსი“ 3:0, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ტოტენჰემ ჰოტსპური“ 2:0, „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „მანჩესტერ სიტი“ 2:1, „საუთჰემპტონი“ — „კოვენტრი სიტი“ 4:0.

მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფმა „ჩელსიმ“ მოუხმო ახალ მწვრთნელს, განთქმულ დ. ბლენჩფლაუერს. მწვრთნელის დებიუტი ფიასკოთი დასრულდა: „ჩელსიმ“ გასვლითი მატჩი წააგო „მიდლსბროსთან“ — 2:7.

XX ტურის შემდეგ „ლივერპულს“ 31 ქულა აქვს, „ევერტონს“ — 30 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ — 27 ქულა და 2 გამოტოვებული მატჩი, „ნოტინჰემ ფორესტს“ — 25 ქულა და 2 გამოტოვებული მატჩი, „არსენალს“ — 25 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი.



**იუგოსლავიის** ეროვნულ ნაკრებს კვლავ ჩაუდგა სათავეში მ. მილიანიჩი, რომელიც ბოლო ხანებში წვრთნიდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“, მადრიდის „რეალს“, იყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკური ექსპერტი არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

**არტემიო** ფრანკი, უეფა-ს პრეზიდენტი და ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი, კვლავ აირჩიეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარედ. იგი რამდენიმე წლის წინათ იყო ამ თანამდებობაზე, შემდეგ ეს პოსტი დაუთმო ფ. კარარას, მაგრამ ვინაიდან ეს უკანასკნელი აირჩიეს იტალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად, ფრანკი კვლავ დაუბრუნეს თავის ძველ თანამდებობას.

**ამერიკის** შეერთებული შტატების 6 პროფესიულმა კლუბმა „კოსმოსის“ მეთაურობით გამოთქვა სურვილი ითამაშოს თავისი ქვეყნის ზამთრის პირველობაში. შეჯიბრებას ვრცელი რეკლამა უძღვის წინ, ამიტომ მატჩებზე მოსალოდნელია მაყურებელთა დიდი რაოდენობა.

**ესპანეთის** „ვალენსიის“ ხელმძღვანელობა გაწბილებულია დასავლეთგერმანელი მცველის ბონჰოფის თამაშით, რომლისთვისაც კლუბმა ამ ზაფხულს მოზრდილი თანხა გადაიხადა. როგორც კი მაინის ფრანკფურტის „აინტრახტის“ ხელმძღვანელობამ დაიწყო მოლაპარაკება ბონჰოფის მშობლიურ კლუბში დაბრუნებაზე, ესპანელებმა მაშინვე მისცეს თანხმობა. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბონჰოფმა დაკარგა სპორტული ფორმა.

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-68-14, 93-97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-61; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-63; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52, წერილების — 93-97-51; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66135 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 02344